ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 60-7-122-419

ქ. თბილისი **06 ივლისი 2022 წ.**

1 მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2022 წლის 06 ივლისს, ერთის მხრივ **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-სა,** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი გიგინეიშვილის სახით (შემდგომში – ,,შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ **შპს „კავკასენერგორემონტი“**-ს შორის, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაქარია ისკანდაროვის სახით (შემდგომში – ,,მიმწოდებელი’’), რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2 ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია გაუწიოს ,,შემსყიდველს“ ქვესადგურში “ახალციხე 500“ 60 მვტ სიმძლავრის N1 სინქრონული კომპენსატორის დიაგნოსტიკის და შეკეთების მომსახურება **(CPV 90512000)** წინამდებარე ხელშეკრულების, დანართი #1-ის (ფასების ცხრილი), დანარათი #2 (უსაფრთხოების წესი და პირობები) შესაბამისად;

2.2. დანართი #1, დანართი #2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17.08.2015წ #13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებულის შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულების (თანხმობის) (SMP220001920) შესაბამისად.

3 მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 საქონლის საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად და შეადგენს **16 652.75 (თექვსმეტი ათას ექვსასორმოცდათორმეტი ლარი და 75 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით** (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება“);

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სრულად გაწეულ მომსახურებაზე ან/და მომსახურების გაწევის დასრულებისას ფაქტობრივად გაწეულ მომსხურებაზე, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება **ლარში,** უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4 მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 “მიმწოდებელი” მოვალეა:

4.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, ხარისხიანად, შესაბამისი სტანდარტებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4.2 “შემსყიდველი” მოვალეა:

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება;

4.2.2 წერილობით შეატყობინოს “მიმწოდებელს” მომსახურების გაწევის დროს შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.

4.2 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ,,მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს სრული ინფორმაცია გასაწევი მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

4.3 “მიმწოდებლის” მივლინებულმა პერსონალმა მომსახურება უნდა გაწიოს განაწესით ან/და განკარგულებით, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #2–ში განსაზღვრული მომსახურების უსაფრთხოდ გაწევის წესების და პირობების მკაცრი დაცვით.

4.4 “მიმწოდებელი” ვალდებულია წერილობით აცნობოს “შემსყიდველს” მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ და წარმოადგინოს მათთან დადებული ხელშეკრულების ასლები.

4.5 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან. საბოლოო ურთიერთობა “შემსყიდველსა” და “მიმწოდებელს” შორის ხორციელდება ამ კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით.

5 მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების ვადაა:

5.1.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 სამუშაო დღე. მომსახურების გაწევის ვადაში, ობიექტებზე დაშვების უფლების მისაღებად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიმართოს წერილობით. შემსყიდველი მიმწოდებლის ობიექტზე დაშვებას უზრუნველყოფს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს ერთი სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი პროცედურების დაცვით.

5.2 მომსახურების გაწევის ადგილია: ქ/ს „ახალციხე 500“, ახალციხის რაიონი სოფ. ზიკილია.

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ,,შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

6.3 ,,შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებენ სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სამხრეთის ქსელის მენეჯერი ჯემალ ახალაია.

6.4 კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება საბოლოოდ, სრულად ან/და მომსახურების დასრულებისას ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად;

7.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს სსე-ს შესაბამის დირექტორთა საბჭოს წევრი ან/და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი.

7.3 მომსახურების გაწევისას და მომსახურების გაწევის შემდგომ, “შემსყიდველის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირები ამოწმებენ გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში, ,,შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით;

7.4 გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

8 მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 „მიმწოდებლის“ მიზეზით მომსახურების დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, მომსახურების ჯეროვნად და სრულად გაწევამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;

8.2 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე

ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;

8.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

8.4 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და „მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა „მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს „მიმწოდებლის" მხრიდან ,,შემსყიდველისათვის" 8.3 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

9 ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ურთიერთობა მხარეებს შორის

10.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, ხორციელდება საფოსტო გზავნილის ან ელექტრონული კომუნიკაციის გზით ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან ამ კონტრაქტის ფარგლებში უფლებამოსილი საკონტაქტო პირების (ელექტრონული კომუნიკაციის შემთხვევაში) მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით;

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება;

10.3 ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის წარმოების პროცესში პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, საკონტაქტო საკითხების მითითებით ხორციელდება მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

11 ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

11.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

11.2 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

11.3 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

11.3.1 მხარეთა შეთანხმებით;

11.3.2 ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

11.4 ,,შემსყიდველს" შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

11.4.1 თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის" მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, ,,შემსყიდველის" მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

11.4.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13 დავის განხილვა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. დავის განხილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადები

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე;

14.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება აღნიშნული პირობების შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს **2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**

15 ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

15.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

16 კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა

მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს“, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).

17 მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი”:
სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ. #2
ს/კ 204995176
სს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი # TBCBGE 22
ანგარიშის# GE02TB0600000102467636

“მიმწოდებელი”:
შპს „კავკასენერგორემონტი“
ტელ: 599 106 861
ფ/მ გარდაბანი, ლესელიძის ქუჩა 2 დ
ს/კ 226552584
სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის# GE81LB0113155319126000

გიორგი გიგინეიშვილი
გენერალური დირექტორი

ზაქარია ისკანდაროვი
დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2022.07.06 16:13:15 +04'00'

დანართი #1

ფასების ცხრილი

#	დასახელება	რაოდ.	ჯამური ღირებულება ლარი
1	წინა საკისრის დაშლა	1	1 743.75
2	უკანა საკისრის დაშლა	1	1 743.75
3	საკისრების და ლილვის დიაგნოსტიკა	1	643.75
4	წინა საკისრის შეცვლა	1	3 743.75
5	უკანა საკისრის შეცვლა	1	3 743.75
6	როტორის ლილვის ცენტრზე გათანაბრება (ცენტროვკა)	1	2 493.75
7	გამართვა/გაშვების სამუშაო	1	0
ჯამი			**14 112.50**
დღგ 18%			**2 540.25**
მთლიანი ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით			**16 652.75**

“შემსყიდველი”:
სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

“მიმწოდებელი”:
შპს „კავკასენერგორემონტი“

გიორგი გიგინეიშვილი
გენერალური დირექტორი

ზაქარია ისკანდაროვი
დირექტორი

დანართი #2

„სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესი და პირობები"

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" კუთვნილ **ქ/ს ,,ახალციხე 500"-ში დაზიანებული 60 მვტ სიმძლავრის #1 სინქრონული კომპენსატორის დიაგნოსტიკისა და შეკეთების მომსახურების** შესყიდვის შესახებ.

1. სამუშაოთა შემსრულებელმა საწარმომ სამუშაოები უნდა ჩაატაროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ასევე, შემდეგი ნორმატიული აქტების მოთხოვნების განუხრელი დაცვით: 1) საქართველოს მთავრობის 24.12.2013 წლის N366 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები"; 2) საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N434 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები"; 3) საქართველოს მთავრობის 17.12.2013 წლის N340 დადგენილებით დამტკიცებული „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას"; 4) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ"; 5) საქართველოს მთავრობის 2007 წლის 4 ივლისის N 134 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები"; 6) საქართველოს ორგანული კანონი, შრომის უსაფრთხოების შესახებ;

2. ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" კუთვნილ ქ/ს ,,ახალციხე 500"-ის ტერიტორიაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით, სამუშაოთა შემსრულებელი (მიმავლინებელი) საწარმო ვალდებულია, აცნობოს „გადამცემი სისტემის ოპერატორს", ამ პერსონალის ობიექტზე დაშვებამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ან/და ექსტრემალურ გარემოებაში 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე; მიაწოდოს წერილობითი მონაცემები სამუშაოს დაწყების და დასრულების ვადების, სამუშაოებში გამოსაყენებელი მანქანა–მექანიზმების/ტექნიკის და მათი მძღოლების, აგრეთვე, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე პასუხისმგებელ მივლინებულ პირთა სია: გვარების, ინიციალების, პირადობის მოწმობის პირადი ნომრების, თანამდებობების, მათთვის მინიჭებული უფლებების (სამუშაოთა ხელმძღვანელი, სამუშაოთა მწარმოებელი, მეთვალყურე, ბრიგადის წევრი) მითითებით;

3. მომწოდებელი ვალდებულია ახალი კორონავირუსით გამოწვეულ იფექციასთან **(COVID-19) დაკავშირებით დაიცვას ქვეყანაში მოქმედი რეკომენდაციები და შეზღუდვები;**

4. შემსრულებელი ვალდებულია **გააჩნდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფირებული სპეციალისტი ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;**

5. სამუშაოთა შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს ელექტროსისტემას **რისკების შეფასების დოკუმენტი,** რომელიც უნდა ეფუძნებოდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავდეს მომსახურეობის სივრცეში დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას (მინისტრის ბრძანება 2020 წლის 30 იანვარი 01-15/N);

6. სსე წარდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს და ითანხმებს მიღებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში;

7. მივლინებულ პირებს სსე-ს ობიექტების ტერიტორიაზე მკაცრად ეკრძალებათ ნებისმიერი ზომისა და სახეობის ცივი, ცეცხლსასროლი, გაზის, პნევმატური, სათამაშო/სასწავლო და სხვა სახის იარაღის, საბრძოლო მასალების (მათ შორის, სასწავლო/სათამაშო ნიმუშების), ნებისმიერი სახეობისა და რაოდენობის ასაფეთქებელი, მომწამვლელი ან/და ადამიანებისა და გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებების, აგრეთვე, ნარკოტიკული/ფსიქოტროპული საშუალებების და ალკოჰოლური სასმელების შეტანა;

8. აკრძალულია სსე-ს ობიექტებზე გამოცხადება ნასვამ (ალკოჰოლური ზემოქმედების) მდგომარეობაში, ფსიქოტროპული ან/და ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ. ნებისმიერი ზემოთ აღნიშნული მოთხოვნიდან ერთ–ერთის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში

მივლინებული მუშაკი არ დაიშვება ობიექტზე, ხოლო პასუხისმგებელ პირებს დაეკისრებათ შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

9. სამუშაოთა შემსრულებელი ვალდებულია მის მიერ გადმოცემულ პერსონალის **სიაში ცვლილების აუცილებლობის შესახებ ინფორმაცია, წერილობით აცნობოს ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (სსე) ამ პერსონალის ობიექტზე დაშვებამდე არანაკლებ ერთი სამუშაო დღით ადრე;**

10. ობიექტზე დაშვებული ყველა მივლინებული პირი ფიზიკური/ფსიქიკური მონაცემებით უნდა შეესაბამებოდეს მათ მიერ შესასრულებელ სამუშაოს, უნდა იყოს ჯანმრთელი და გავლილი უნდა ჰქონდეთ ჯანმრთელობის სამედიცინო შემოწმება;

11. დაშვებამდე, მივლინებულმა პირებმა ერთჯერადად უნდა გაიარონ შესავალი ინსტრუქტაჟი სსე–ს ტექნიკური უსაფრთხოების და ინსპექციის უფროს ინჟინერთან ჟურნალში დაფიქსირებით. ინსტრუქტირებისას გაეცნობიან სამუშაოთა მწარმოებლის მიერ წარმოდგენილ რისკების შეფასების დოკუმენტს და მასში დაფიქსირებულ საფრთხეებს;

12. პირველადი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟები განხორციელდება სსე–ს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ინსტრუქტაჟის ჟურნალში გაფორმებით. აღნიშნული ინსტრუქტაჟები წარმოადგენს ადგილობრივ თავისებურებათა და გამოყოფილ უბანზე საშიში გარემოებების/ფაქტორების შესახებ ინფორმირებას;

13. ობიექტზე დაშვებას განწესის მიხედვით ასრულებს სსე-ს წარმომადგენელი (დამშვები), მოქმედი წესების შესაბამისად. მომდევნო დღეებში მომზადებულ სამუშაო ადგილზე განმეორებით დაშვებას სსე-ს დამშვების ნებართვით ახორციელებს სამუშაოს ხელმძღვანელი;

14. მივლინებულმა პირმა (პირებმა), რომელმაც მიიღო დადგენილი წესით თანხმობა ობიექტზე დაშვებაზე, ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს კანონით დადგენილი წესების დაცვით და არ გამოიწვიოს სსე–ს დანადგარების სამუშაო პროცესის დარღვევა, შეფერხებები და ხარვეზები;

15. სამუშაოები უნდა ჩატარდეს შესაბამისი განწესის მიხედვით, რომელსაც გასცემს სსე-ს უფლებამოსილი წარმომადგენელი;

16. ყოველდღიურად ბრიგადის დაშვება უნდა განხორციელდეს მიმდინარე (მიზნობრივი) ინსტრუქტაჟის ჩატარების შემდგომ, რომელიც ბრიგადის წევრებს უნდა ჩაუტაროს სამუშაოთა ხელმძღვანელმა/მწარმოებელმა, რომელიც პასუხისმგებელია ბრიგადის წევრებთან ინსტრუქტაჟის მკაფიოდ და სრულად ჩატარებაზე, მომზადებული სამუშაო ადგილის შესაბამისობაზე განწესით/განკარგულებით განსაზღვრულთან და სამუშაოების შესრულების პირობებიდან გამომდინარე მის მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებებზე; ასევე, აუცილებელი დამცავი საშუალებების ინვენტარის, ინსტრუმენტების და სამარჯვების არსებობაზე, მათ გამართულობაზე და სწორად გამოყენებაზე; სამუშაო ადგილზე შემოღობვების, უსაფრთხოების პლაკატებისა და ნიშნების დაცულობაზე; სამუშაო ადგილზე ხანძარსაწინააღმდეგო და ფეთქებადსაწინააღმდეგო წინასწარი ღონისძიებების გატარებაზე და მკაცრად დაცვაზე, მომსახურების უსაფრთხოდ ჩატარებაზე და ბრიგადის წევრებზე მუდმივი კონტროლის განხორციელებაზე;

17. ყველა სპეციალური სახის სამუშაოებში მონაწილე პირებს გავლილი უნდა ჰქონდეთ ცოდნის საკვალიფიკაციო შემოწმება, მინიჭებული უნდა ჰქონდეთ არანაკლებ უსაფრთხოების II (მეორე) საკვალიფიკაციო ჯგუფი (ბრიგადის წევრებს), არანაკლებ უსაფრთხოების III (მესამე) ჯგუფი მეთვალყურეს. განკარგულებით ჩასატარებელი სამუშაოების შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელს უნდა ჰქონდეს არანაკლებ III (მესამე) ჯგუფი, ხოლო განწესის შემთხვევაში – არანაკლებ IV (მეოთხე) ჯგუფი. სამუშაოთა ხელმძღვანელის დანიშვნის შემთხვევაში, მას უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების V (მეხუთე) ჯგუფი;

18. მაღლივი სამუშაოები უნდა ჩაატარონ მოსიმაღლეებმა (მემაღლივე, ზემცოცი). აღნიშნულ სამუშაოებში მონაწილე პირებს (ბრიგადის წევრებს) გავლილი უნდა ჰქონდეთ ცოდნის საკვალიფიკაციო შემოწმება, უნდა ფლობდნენ მაღლივი სამუშაოების წარმოების თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ამასთან, ვინაიდან, მაღლივი სამუშაოები წარმოადგენს სპეციალურ სამუშაოებს, სპეციალური სამუშაოების ჩატარების უფლების მქონე მომუშავეებს მოწმობაში უნდა ჰქონდეთ გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერი

19. იმ სამუშაოებში მონაწილე ბრიგადის წევრებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მაღლივ/სიმაღლეზე, ელექტრული სეგხ–ების დაცვის ზონაში, მანქანა–მექანიზმებზე მუშაობასთან და ყველა სახის სპეციალურ სამუშაოებთან, დასაშვებია ჰქონდეთ უსაფრთხოების I (პირველი) ჯგუფი. ამ შემთხვევაში, ბრიგადას სავალდებულოდ უნდა დაენიშნოს სამუშაოთა მწარმოებელი (მეთვალყურე) – უსაფრთხოების III (მესამე) ჯგუფით;

20. მე–17 და მე-18 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მომუშავეებს უნდა გააჩნდეთ საქართველოს მთავრობის 17.12.2013 წლის N340 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი საკვალიფიკაციო მოწმობები. მომუშავეები ვალდებულნი არიან აღნიშნული მოწმობები სამუშაოზე ყოფნის დროს მუდმივად იქონიონ სამუშაო ადგილზე;

21. სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარებაზე შეუფერხებელ მუშაობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სამუშაოთა შემსრულებელ საწარმოს (მივლინებულ პირებს). აღნიშნული სამუშაოების მიზეზით გამოწვეული ავარიული გამორთვის, დაზიანების ან/და სხვა სახის ზარალის ღირებულებას სრულად, დაუყოვნებლივ და უპირობოდ აანაზღაურებს სამუშაოთა შემსრულებელი საწარმო;

22. ქვესადგურებში გამოყოფილ ტერიტორიაზე სამუშაოები სავალდებულოდ უნდა შესრულდეს განწესი–დაშვებით განსაზღვრული, უსაფრთხოების ყველა საჭირო ორგანიზაციულ–ტექნიკური ღონისძიების წინასწარი გატარებით. სავალდებულო წესით უნდა დაინიშნოს სამუშაოთა მწარმოებელი და მეთვალყურე. დაუშვებელია განწესით დადგენილი ღონისძიებების თვითნებური შეცვლა, აგრეთვე განწესით განსაზღვრული სამუშაო ადგილის და დავალების მოცულობის გაფართოება. აუცილებლობის შემთხვევაში, მოქმედი წესების დაცვით, წინასწარ უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება;

23. სამუშაო ადგილზე/გამოყოფილ ტერიტორიაზე უსაფრთხოების ტექნიკის და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე, მივლინებული მუშაკების უსაფრთხოდ მუშაობაზე და მათი კვალიფიკაციის შესაბამისობაზე ჩასატარებელი სამუშაოს სპეციფიკასთან, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმავლინებელ საწარმოს. ამასთან, მივლინებული პირები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან სამუშაო ადგილზე არსებული მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობა–დანადგარების მუშაობის დადგენილი რეჟიმები და თავიანთი ქმედებებით არ გამოიწვიონ რაიმე შეფერხებები ან ელექტროდანადგარების დაზიანებები. მივლინებული პირებისათვის გამოყოფილი უბანი/სამუშაო ადგილი უნდა იყოს სავალდებულოდ შემოღობილი უსაფრთხოების ლენტით;

24. სამუშაოები მივლინებულმა პირებმა უნდა ჩაატარონ გამოყენებისათვის ვარგისი დამცავი საშუალებების (სპეცტანსაცმელი, სათვალე, დამცავი ნიღაბი, დამცავი ჩაფხუტი, დამცავი ქამარი, დამზღვევი ბაგირი, ხელთათმანები, შემოღობვის ლენტი და სხვა) სავალდებულო გამოყენებით. აღნიშნული საშუალებები ობიექტზე დაშვებისას თან უნდა იქონიონ, სამუშაო ადგილზე მიიტანონ მივლინებული საწარმოს მუშაკებმა. საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ადგილზე დამატებით უნდა დაყენდეს დამცავი მოწყობილობები (ბადეები, ფარები, ფენილები და ა.შ.);

25. მივლინებულმა პირებმა სამუშაო ადგილზე უნდა უზრუნველყონ საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა განუხრელი დაცვა. გაითვალისწინონ სამუშაოების წარმოებისას გარემო ფაქტორები (ერგონომიული), ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა საფრთხეები;

26. სამუშაოების წარმოების დროს აკრძალულია ფეთქებადი და ადვილადაალებადი ნივთიერებების გამოყენება შესაბამისი წესების ან/და საპასპორტე მოთხოვნების განუხრელი დაცვით. სამუშაოების მიმდინარეობისას მიღებული და დაცული უნდა იყოს აფეთქებისა და სახანძრო უსაფრთხოების ზომები.

27.მივლინებულ პირებს ობიექტის ტერიტორიაზე ეკრძალებათ თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

28. მანქანა–მექანიზმების გამოყენებით მუშაობის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა გაიცეს განწესი, დაინიშნოს უსაფრთხოების V (მეხუთე) ჯგუფის მქონე სამუშაოთა ხელმძღვანელი (რომელსაც ინსტრუქტაჟს უტარებს განწესის გამცემი და დამშვები), განისაზღვროს უსაფრთხოების ორგანიზაციულ–ტექნიკური ღონისძიებები და სათანადოდ მომზადდეს სამუშაო ადგილი. სამუშაოებში მონაწილე ყველა ამწე–სატრანსპორტო საშუალება, სპეცმანქანა–მექანიზმი,

ტვირთამწე მანქანები, ბაგირები, ჯალამბარები უნდა იყოს მუშაობისათვის ვარგისი, გამართული და შემოწმებაგავლილი/გამოცდილი;

29.ელექტროდანადგარების და ელექტროსადენების ქვეშ გავლის შემთხვევაში ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების ამწევი და გამოსაწევი ნაწილები უნდა იმყოფებოდეს სატრანსპორტო მდგომარეობაში. აკრძალულია ტვირთამწეების და მანქანა–მექანიზმების დაყენება და მუშაობა 0,4 კვ–დან 35 კვ ჩათვლით ძაბვის ქვეშ მყოფი სეგხ-ის სადენების ქვეშ;

30.დაცვის ზონაში ძაბვის მოუხსნელად ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას ავტომობილები, ტვირთამწე მანქანები და მექანიზმები უნდა დამიწდეს. დამიწების დაყენებამდე აკრძალულია ავტომობილების (ტვირთამწე მანქანების, მექანიზმების) კორპუსზე შეხება და მათი სამუშაო ორგანოს, ტვირთსაჭერი სამარჯვების და საყრდენი დეტალების გადაადგილება.

31.აკრძალულია ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების მუშაობისას ასაწევი ტვირთის, ტელესკოპური კალათის ქვეშ, აგრეთვე დასაჭიმი სადენების (გვარლების), საბრჯენების, სამაგრების და მომუშავეთა მექანიზმების უშუალო სიახლოვეს (5 მ-ზე ახლოს) ადამიანების ყოფნა;

32. მივლინებული პირების მიერ სამუშაოების წარმოება სხვადასხვა სახის ამწე მანქანებით და გამოსაწევ ნაწილებიანი მექანიზმებით დასაშვებია იმ პირობით, რომ მანქანის ან მისი გამოსაწევი ან ამწე ნაწილიდან, ასევე მისი მუშა ნაწილიდან ან ნებისმიერ მდგომარეობაში მყოფი ასაწევი ტვირთიდან (მათ შორის, მაქსიმალურად აწეული ტვირთით ან ისრით) ძაბვის ქვეშ მყოფ უახლოეს სადენამდე, არ იქნება ცხრილი №1-ში მითითებულ მანძილებზე ნაკლები;

ცხრილი1. დასაშვები მანძილები ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტროგადამცემი ხაზის/ ელექტროდანადგარის დენგამტარ ნაწილებამდე მანქანა–მექანიზმების შემთხვევაში:

მაღალი ძაბვის ეგხ-ს ძაბვა, კვ	მანძილი, მ	
	ნომინალური	მინიმალური, ტექნიკური საშუალებებით გაზომვადი
1-მდე	1,5	1,5
1-დან 20-მდე	2,0	2,0
20-დან 35-მდე	2,0	2,0
35-დან 110-მდე	3,0	4,0
110-დან 220-მდე	4,0	5,0
220-დან – 400-მდე	5,0	7,0
400-დან – 750-მდე	9,0	10,0

33.სამუშაოებზე განწესის გამცემმა უნდა განსაზღვროს ელექტროდანადგარების გამორთვის და დამიწების საჭიროება;

34.სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ადამიანების მიახლოება ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტროდანადგარების/ელექტროგადაცემის ხაზების შემოუღობავ დენგამტარ ნაწილებთან ცხრილი №2-ში მითითებულ მანძილზე ახლოს:

ცხრილი 2. დენგამტარ ნაწილებამდე მიახლოების დასაშვები მანძილები ადამიანების შემთხვევაში

ძაბვა, კვ		მანძილი ადამიანებიდან და მათ მიერ გამოყენებული იარაღებიდან, სამარჯვებიდან, დროებითი შემოღობვებიდან (მ)
1- მდე	სეგხ-ზე	0,6
	დანარჩენ ელექტრო დანადგარებში	არ ნორმირდება (შეხების გარეშე)
1-35		0,6
110		1,0
150		1,5
220		2,0

35. ელექტროდანადგარებზე ნებისმიერი (მათ შორის, სადენის მიწასთან მოკლე შერთვისას/ ბიჯური ძაბვის წარმოშობისას) დაზიანების შემჩნევის შემთხვევაში, მომუშავე დაზიანების ადგილს არ უნდა მიუახლოვდეს 8-10 მეტრის მანძილზე. ბიჯური ძაბვის ზონაში მოხვედრის შემთხვევაში (დაზიანების წერტილიდან 8–10 მეტრის რადიუსში) მომუშავემ ბიჯური ძაბვის ზონიდან გამოსვლა უნდა განახორციელოს მოკლე ნაბიჯებით ფეხის ტერფების ერთმანეთისგან მოუცილებლად, არანაკლებ 8-10 მეტრის მანძილზე. ამასთან, დაზიანების ადგილზე მიმდინარე სამუშაოები სავალდებულოდ უნდა შეწყდეს. დაზიანების წარმოშობის ან/და წინამდებარე „სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესის და პირობების" ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, სამუშაოთა შემსრულებელმა პირებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სსე–ს მხრიდან გამოყოფილ უფლებამოსილ პირს. დაზიანების ადგილზე სამუშაოების განახლება დასაშვებია მხოლოდ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" (სსე–ს) წარმომადგენლების მიერ დაზიანების აღმოფხვრის და სსე–ს მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ ნებართვის გაცემის შემთხვევაში;

36. სამუშაოთა წარმოებისას მომუშავეებმა უნდა დაიცვან სახიფათო ზონების საზღვრები, რომელთა ფარგლებში შესაძლებელია საფრთხის წარმოქმნა საგნების ჩამოვარდნასთან დაკავშირებით, ცხრილი №3-ის შესაბამისად:

ცხრილი 3. სახიფათო ზონების საზღვრები

საგნის შესაძლო ჩამოვარდნის სიმაღლე, მეტრი	**ტვირთის გადაზიდვის ადგილებთან ახლოს მანქანებით გადაადგილებული ტვირთის მაქსიმალური გაბარიტის ტრაექტორიის ჰორიზონტალური პროექციიდან), მეტრი**	**მოქმედი/ მშენებარე შენობა-ნაგებო–ბების ახლოს (მისი გარე პერიმეტრიდან), მეტრი**	**დასანგრევი (სადემონტაჟო) შენობა–ნაგებობის ახლოს (მისი გარე პერიმეტრიდან), მეტრი**
10 მ-მდე	**4**	**3,5**	**7**
20 მ-მდე	**7**	**5**	**10**
20-დან 70 მ–მდე	**10**	**7**	**14**

37. სამუშაოების დასრულების შემდგომ, ტერიტორია უნდა გაიწმინდოს ნარჩენებისაგან აღნიშნული სამუშაოების დროს მანქანა–მექანიზმების გამოყენების შემთხვევაში, მეთვალყურეობა უნდა განახორციელოს სსე–ს მხრიდან გამოყოფილმა მეთვალყურემ. ამასთან, სამუშაოთა შემსრულებელმა საწარმომ უპირობოდ უნდა უზრუნველყოს ელექტროდანადგარებთან მისასვლელი გზების არსებობა, მანქანა–მექანიზმების თავმოყრისა სარეაბილიტაციო–პროფილაქტიკური, კაპიტალური და ავარიულ–აღდგენითი სამუშაოების შეუზღუდავად ჩატარების შესაძლებლობით;

38. დაცვის ზონაში აკრძალულია ცეცხლის დანთება ნებისმიერი მიზნით ან/და საცეცხლე სამუშაოების წარმოება. აღნიშნული სამუშაოების დაწყებამდე სამუშაო ადგილებზე თავმოყრილი და გამართული უნდა იყოს ხანძარქრობის აუცილებელი პირველადი საშუალებები. დამატებით, სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნების განუხრელი დაცვით;

39. სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დროს ბრიგადა გამოყვანილი უნდა იქნას სამუშაო ადგილიდან. ბრიგადის წევრებს შესვენების შემდეგ უფლება არა აქვთ სამუშაოს მწარმოებლის (მეთვალყურის) გარეშე დაბრუნდნენ სამუშაო ადგილზე. შესვენების შემდეგ დაშვებას ახორციელებს სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) განწესში გაუფორმებლად;

40. სამუშაოების დაწყებამდე, სამუშაოების მიმდინარეობისას, შესვენებისას და დამთავრებისას ბრიგადის წევრებს, სამუშაოს ხელმძღვანელს, სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) ეკრძალებათ არსებული კონსტრუქციებზე ასვლა;

41. სამუშაო დღის დამთავრებით გამოწვეული სამუშაოს შეწყვეტის დროს სამუშაოს მწარმოებელმა ბრიგადა უნდა გაიყვანოს სამუშაო ადგილიდან. უსაფრთხოების პლაკატები,

დროებითი შემოღობვები, ალმები რჩება ადგილზე. სამუშაოს დროებით შეწყვეტას სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) აფორმებს განწესის თავის ეგზემპლარში ხელის მოწერით. მომდევნო დღეებში სამუშაოს მწარმოებელს (მეთვალყურეს) სამუშაოდ მომზადებულ ადგილზე შეუძლია დაუშვას ბრიგადა დამშვების ნებართვით თუ მას ეს ევალება განწესის “ცალკეული მითითებების" სტრიქონში ჩანაწერით;

42. სამუშაოს სრულად დამთავრების შემდეგ სამუშაოს მწარმოებელმა (მეთვალყურემ) უნდა გაიყვანოს ბრიგადა სამუშაო ადგილიდან, მოხსნას მხოლოდ ბრიგადის მიერ დაყენებული დროებითი შემოღობვები, უსაფრთხოების გადასატანი პლაკატები, ალმები და განწესში გააფორმოს სამუშაოს დამთავრება ხელის მოწერით. სამუშაოს ხელმძღვანელმა სამუშაო ადგილის შემოწმების შემდეგ განწესში უნდა გააფორმოს სამუშაოს დამთავრება. სამუშაოს მწარმოებელი (მეთვალყურე) გაფორმებულ განწესს აბარებს დამშვებს, მისი არ ყოფნის შემთხვევაში კი განწესის გამცემს;

43. სამუშაოთა შემსრულებელი საწარმო ვალდებულია, სამუშაოების საბოლოო დასრულების თაობაზე წერილობით აცნობოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;

44. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) უფლებამოსილია დღე–ღამის ნებისმიერ დროს განახორციელოს წინამდებარე „სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესის და პირობების“ მოთხოვნების შესრულების შემოწმება, ხოლო დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში აუკრძალოს მწარმოებელ პირებს სამუშაოების ჩატარება;

45. წინამდებარე „სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესი და პირობები“ ძალაშია სსე–ს და სამუშაოთა შემსრულებელ საწარმოს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

“შემსყიდველი”:	**“მიმწოდებელი”:**
სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	**შპს „კავკასენერგორემონტი“**
გიორგი გიგინეიშვილი	ზაქარია ისკანდაროვი
გენერალური დირექტორი	დირექტორი

Zakaria Iskandarov

Digitally signed by Zakaria Iskandarov
Date: 2022.07.06 16:01:33